



## “DOMINE, QUO VADIS?” - საქართველოს მონყვლადოზა ევროკავშირის გაურკვეველი მოგავლის მიმართ

თათია დოლიძე<sup>1</sup>

*- Domine, quo vadis?*

*(უფალო, საით მიემართები?)*

*- “Eo Romam iterum crucifigi”*

*(ირომში მივდივარ, რათა კვლავ ჯვარს ვეცვა“)*

პეტრეს აპოკრიფული აქტები

ევროპაში იდენტობის უდიდესი კრიზისის ფონზე, ევროკავშირი, ერთი მხრივ, ზეიმობს, მეორე მხრივ კი გლოვობს რომის ხელშეკრულებების მესამოცე წლისთავს. 2017 წლის 25 მარტს სახელმწიფოებისა თუ მთავრობების ხელმძღვანელები და ევროკავშირის ინსტიტუტების პრეზიდენტები შეხვდნენ ერთმანეთს რომის სამიტზე, რათა მიეღოთ [დეკლარაცია](#) ევროპის მომავალზე– მომავალზე, რომელიც ამჟამად გაურკვეველია.

„ბრექსიტის“ (Brexit) გადაწყვეტილებითა და დონალდ ტრამპის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებით წახალისებული ნაციონალისტური განწყობა „დომინოს პრინციპით“ გავრცელდა მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში. ევროპის თანამედროვე ნაციონალიზმი ანგლო–ამერიკული პოლიტიკური მაჯისცემის („ამერიკა უპირველეს ყოვლისა“; „კონტროლის უკან წაღება“) გამოძახილია და არის პოპულისტური,

<sup>1</sup> თათია დოლიძე, საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში

ანტიისლამისტური, მიგრანტებისა და ევროკავშირის საწინააღმდეგო ხასიათის მატარებელი.

ამჟამად, საყოველთაო ყურადღება მიპყრობილია საფრანგეთის მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებისკენ, რომლის შედეგებიც განსაზღვრავს დარჩება „ბრექსიტი“ უნიკალურ შემთხვევად („sui generis“) თუ შექმნის პრეცედენტს, რომლისაც ასე ემინიათ ევროპის გულშემატკივრებს. საფრანგეთი ერთ თვეში, ან გერმანია - სექტემბერში, ფედერალური არჩევნების შედეგებით გადაწყვეტს ევროკავშირის ბედს.

ევროპული ინტეგრაციის პროცესში ეს ორი ქვეყანა ისტორიულად ცენტრალური როლის მატარებელია და მათი შესაბამისი „ფრექსიტი“ (Frexit) და/ან „დექსიტი“ (Dexit) ბევრად უფრო მეტის მანიშნებელი იქნება, ვიდრე უბრალოდ გამოსვლის/ების შემდეგი რაუნდი. „მჭიდრო კავშირის“ იდეის გადასარჩენად აუცილებელია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს არჩევნებში პროევროპულმა ლიდერებმა გაიმარჯვონ. ამ შედეგის დადგომის გარე მოთხოვნაც საკმაოდ ძლიერია.

რუსეთის ფედერაციის მიერ პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით შევიწროვებული საქართველო ცდილობს საკუთარი ადგილის მოპოვებას ევროატლანტიკური უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ, რომელიც მოიცავს ნატოს და ევროკავშირს, როგორც ხისტი და რბილი ძალების უსაფრთხოების სფეროს აქტორებს. თუ ევროკავშირი დაშლის საფრთხის წინაშე დგას, ამერიკის შეერთებული შტატების ლოიალობა კი მიმართულებას იცვლის, ეს პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელიც დასავლეთს შეჰყურებს და რომელმაც ყველაფერი გაიღო მისი ევროატლანტიკური მომავლისთვის, ტანჯვისთვისაა განწირული.

სხვა სცენარში, რომლის მიხედვითაც იმარჯვებენ ევროპის გულშემატკივრები და სუპრანაციონალისტები, ამჟამინდელმა კრიზისმა შესაძლოა გამოიწვიოს ინტეგრაციის ახალი ტალღა აქტიური „გაფართოების“ კომპონენტით. ამ შემთხვევაში, საქართველო შეძლებს საკუთარი თავის წარმოჩენას, როგორც ახალი სისხლის, რომელიც საჭიროა სტაგნაციის პროცესში მყოფი ევროპული პროექტის ასაღორძინებლად.

### **ევროპის ორი არჩევანი**

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა [წერილში](#) „United we stand, divided we fall“ („გაერთიანებულნი მყარად ვდგავართ, დაყოფილნი დავეცემით“) შეაჯამა ის რისკები, რომლის წინაშეც ამჟამად ევროპა დგას. წერილი გადაეგზავნა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის მეთაურს ახლახან ჩატარებული მალტის სამიტის წინ.

ტუსკი შეეხო ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას, რომელიც გამოიწვია, ერთი მხრივ, ტრამპის ამერიკის თავისებურებებმა და, მეორე მხრივ, რუსეთის აგრესიამ მის უახლოეს საზღვრებში თუ გარეთ. ამას გარდა, წერილი გამოეხმაურა ევროპის შიდა პრობლემებს, როგორცაა ნაციონალიზმის აღზევება და ქსენოფობია ევროპულ

საზოგადოებებსა თუ პოლიტიკაში, და პოპულიზმი, რომელიც პოლიტიკურ ელიტებს შორის იკრებს ძალას. საბოლოოდ, პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ დარჩენილი 27 წევრი ქვეყანა მზად არის და სურვილი აქვს შეინარჩუნოს ერთიანობა.

მართლაც, ევროკავშირი გახდა მოწვევადი პოპულიზმით გამოწვეული გაურკვევლობის მიმართ. კავშირის პოლიტიკური ეკოსისტემა ხდება უფრო მთავრობათაშორისი (სუპრანაციონალიზმის საწინააღმდეგოდ), ნაკლებად დარეგულირებული (ორგანიზაციული წესების საპირისპიროდ), ნაკლებად პროგნოზირებადი (საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების უარყოფი) და მას შეიძლება ძალთა ბალანსის გადაწყობა და, შედეგად, საერთაშორისო სისტემის ფუნქციური მოშლაც მოჰყვეს.

მართლაც, ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი, მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება ძლიერი, თუ ის იქნება „სრულიად დამოუკიდებელი“ რუსეთის, ჩინეთის და აშშ-ის გავლენისგან, რასაც ტუსკიც სამართლიანად აღნიშნავს ამავე წერილში. ევროატლანტიკური სივრცის სისტემური ცვლილება ზიანის მომტანი იქნება ასევე საქართველოსთვის, რომელიც საკუთარ თავს მოიაზრებს *სრულიად დამოუკიდებელს* და აყვავებულს მხოლოდ ევროპული კავშირის ფარგლებში, ხოლო უსაფრთხოს - მხოლოდ როგორც ნატოს წევრი ქვეყანა.

საფრანგეთის არჩევნებმა შეიძლება ხელი შეუშალოს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მსგავსად ბრიტანეთისა, საფრანგეთი ყოველთვის იყო ევროკავშირის პრობლემური წევრი, “ფრექსიტის” მომხრე პოპულისტი კანდიდატის, მარინ ლე პენის, საპრეზიდენტო გამარჯვება არც ისე წარმოუდგენელია. სულ რაღაც ათეული წლის წინ იყო, რომ საფრანგეთმა ევროპის კონსტიტუციას მხარი არ დაუჭირა.

არც გერმანიაშია წარმოუდგენელი მსგავსი ნაციონალისტური შემობრუნება. საამისოდ საზოგადოებაში ანტიმიგრაციული ნიადაგი მომზადებულია, განსაკუთრებით ტუნისელი თავშესაფრის მაძიებლის მიერ ბერლინის საშობაო ბაზრობაზე სატვირთო მანქანით სამარცხვინო თავდასხმის შემდეგ. მიგრაციის მომხრე კანცლერ ანგელა მერკელის „ქრისტიან-დემოკრატების“ პარტიას უფრო და უფრო უჭირს მემარჯვენე პოპულისტურ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ პარტიასთან გამკლავება.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის არჩევნებში ლე პენის კრახიც კი არ იქნება ევროპის ერთიანობის იდეის გადარჩენის ტოლფასი, რადგანაც გადამწყვეტი სიტყვის უფლება ამ შემთხვევაში დარჩება გერმანიას. ამის საპირისპიროდ, ლე პენის მიერ არჩევნების მოგება მაშინვე ფატალური განაჩენი იქნება ევროკავშირისთვის, გერმანელი ამომრჩევლების მიერ შემდგომ არჩევნებში მიღებული თუნდაც პროევროპული გადაწყვეტილების მიუხედავად.

დღევანდელი გადმოსახედიდან, ევროპის მომავალი არც ისე პირქუშია, როგორც ის თითქმის ერთი წლის წინ ჩანდა, როდესაც „ბრექსიტმა“ შექმნა ნაციონალისტური

„დომინოს პრინციპის“ საფრთხე. ევროფილების საბედნიეროდ, არც იმდენი დომინო წაიქცა, რამდენიც ევროსკეპტიკოსების მიერ იყო ნავარაუდები. ავსტრიისა და ნიდერლანდების არჩევნები ამის პირველი, ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითებია.

1. [ავსტრიელმა](#) ამომრჩევლებმა მხარი არ დაუჭირეს ევროსკეპტიკოს, მიგრანტების მოწინააღმდეგე და ანტიისლამისტ კანდიდატ ნორბერტ ჰოფერს ევროკავშირის წევრი ქვეყნის პირველი რადიკალი მემარჯვენე პრეზიდენტის რანგში. სანაცვლოდ, ამომრჩევლებმა არჩევანი შეაჩერეს ალექსანდრ ვან დერ ბელენზე, მემარცხენე პროევროპულ პოლიტიკურ ფიგურაზე, რომელიც ევროკავშირის ჯერ კიდევ შემორჩენილ ხიზლს განასახიერებს.
2. ჰოლანდიის 2017 წლის 15 მარტის [საყველთაო არჩევნების](#) შედეგების მიმართ არსებული მოლოდინების მიხედვით, პოპულიზმს უნდა ეზეიმა, მაგრამ დონალდ ტრამპის ჰოლანდიური ვერსია, გერტს უილდერსი, მისი ლიბერალი კოლეგის, მარკ რუტეს, წინააღმდეგ დამარცხდა და შვება მოჰგვარა სუპრანაციონალისტებს.

როგორც ჩანს, ფართოდ გავრცელებულ, პროევროპულ პარტიებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ მიმზიდველობა საზოგადოებებში, რომლებიც კვლავ ითვისებენ ლიბერალურ, ინკლუზიურ, პროგლობალისტურ იდეებს. ზემოაღნიშნული ორი შემთხვევა გვამლევს იმის რწმენის საფუძველს, რომ ევროპა საბოლოოდ იპოვის გამოსავალს ნაციონალისტური, პოპულისტური, ევროსკეპტიკური, ანტიმიგრაციული, ანტიისლამისტური გზიდან.

თუმცა [პოპულისტურ-ნაციონალისტური ტენდენციები](#) აშკარაა და მისი ძირითადი ლოგიკა არ უნდა იქნას უგულებელყოფილი, თუ ევროპას სურს თავიდან აიცილოს მისი შემდგომი დარტყმები : ნაციონალ-კონსერვატიული პარტია „შვედეთის დემოკრატები“, რომელიც აღმოცენდა შვედეთის ფაშისტური მოძრაობიდან, სიდიდით მესამე პარტიაა შვედეთის საკანონმდებლო ორგანოში; ულტრანაციონალისტურმა პარტიამ „ოქროს აისი“ მესამე ადგილი დაიკავა საბერძნეთის საპარლამენტო არჩევნებში; რადიკალი მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ჭეშმარიტი ფინელები“ შეურთდა სამთავრობო კოალიციას; დანიის „სახალხო პარტია“ სიდიდით მეორეა დანიაში და იტალიის ნეოფაშისტური პარტია „ჩრდილოეთის ლიგა“ იტალიის საზოგადოების მხარდაჭერით მეოთხეა (13 პროცენტით) გამოკითხვების მიხედვით.

„ბრექსიტი“, ევროზონისა და ლტოლვილთა კრიზისები დამოუკიდებელი შემთხვევებია, თუმცა მათი გაერთიანება შესაძლებელია ევროპის იდენტობის კრიზისის ქოლგის ქვეშ, რომელიც ევროკავშირის მმართველობითი პრობლემებიდან გამომდინარეობს. ევროკავშირს გააჩნია სტრუქტურული პრობლემები, რომლებიც აშკარა გახდა ტერორისტულ თავდასხმებთან, მიგრანტების ტალღასთან, ეკონომიკურ და სოციალურ სიძნელეებთან გამკლავებისა თუ მათი პრევენციის მარცხით .

ამ წარუმატებლობებმა ნიადაგი მოუმზადა ზემოთხსენებული ნაციონალისტურ-პოპულისტური პარტიების ძალაუფლებაში მოსვლას. ანტიგლობალისტები შეიძლება ცდებოდნენ იმაში, რომ გლობალიზაციის ძალები მხოლოდ ელიტების სასარგებლოდ მუშაობენ, თუმცა ლეგიტიმურად მანიპულირებენ მასების ამ გრძნობებით. ევროპელმა ლიდერებმა უნდა გაითვალისწინონ ევროპელი ხალხის ინტერესები, რაც არამხოლოდ მორალური ვალდებულებაა, არამედ პრაგმატული ნაბიჯი გლობალიზაციისადმი მძლავრი წინააღმდეგობის ხანაში. სხვა თუ არაფერი, ხალხისადმი ანგარიშვალდებულება არის ევროპული დემოკრატიის იდეის მთავარი შემადგენელი ნაწილი.

### ევროპული საქართველო მოლოდინის რეჟიმში

ქართველებს ბოლოს და ბოლოს, მიეცათ შენგენის ტერიტორიაზე [უვიზოდ მიმოსვლის](#) საშუალება, რომელიც ძალაში 28 მარტს შევიდა. ბედის ირონიით, ეს უპრეცედენტო წარმატება ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მაშინ ხვდა წილად, როცა ევროკავშირი შესაძლო დეზინტეგრაციის გზაზეა. ევროპის აპოკალიფსური სურათის წარმოსახვის გარეშეც (რაც თავისთავად ღირებულებას დაუკარგავდა ვიზალიბერალიზაციას, როგორც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ პოლიტიკური გავლენის მოხდენის ყველაზე იმედისმომცემ ბერკეტს) აშკარაა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული საშინაო პოლიტიკური ვითარება საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ მომავალს.

საქართველოს მხრიდან არსებული შიშის ლოგიკური მიზეზი მარტივია. საქართველო, რომელიც ევროკავშირის და ნატოს წევრობის ასპირანტი ქვეყანაა, და რომლის ტერიტორიების 20% ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, იყურება დასავლეთისკენ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ამ ტერმინის ფართო გაგებით. ამჟამად, ვინაიდან ანტიევროპულმა მოწინააღმდეგე ან სულ მცირე, ევროსკეპტიკურმა განწყობებმა ძალა მოიკრიბეს ევროკავშირსა და აშშ-ში, საქართველოს წარმატებული ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები მცირდება. ევროპული საზოგადოების აზრი იცვლება „ნაკლები ევროპის“ მიმართულებით და, შესაბამისად, მხარს არც ევროკავშირის „გაღრმავებას“ და არც მის შემდგომ „გაფართოებას“ უჭერს.

საქართველოს ხელისუფლებას, როგორც არასდროს, ისეთი რთული პერიოდი დაუდგება ევროპაში სრულ წევრობაზე პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად. უფრო მეტიც, საქართველოსთვის ევროპა არის ხანგრძლივი მშვიდობისა და კეთილდღეობის მოდელი, აშშ კი სამხედრო ძალით გამყარებული დემოკრატიის საყრდენი, რომელსაც შეუძლია დააბალანსოს რუსეთი. იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი და აშშ აღარ იქნებიან ამ თვისებების მატარებელი, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია მისი ღირებულების დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება.



საინტერესოა, რომ პოპულისტური ლიდერები ევროპაში ევროსკეპტიკოსობასთან ერთად რუსეთის მიმართ მეგობრულ დამოკიდებულებასაც ამჟღავნებენ. მაგალითად, საფრანგეთის ულტრამემარჯვენე პრეზიდენტობის კანდიდატი მარინ ლე პენი, რომელსაც საფრანგეთის ევროკავშირიდან, ევროზონიდან და შენგენის სივრციდან გამოსვლა სურს, ასევე, გამოირჩევა რუსეთთან ახლო კავშირებით, რომელიც ვლინდება მის მიერ ყირიმის რუსეთის ტერიტორიად ცნობასა და ამ კუთხით რუსეთის წინააღმდეგ არსებული სანქციების მოხსნის მხარდაჭერაში. 2017 წლის 24 მარტს, ლე პენი რუსეთის პრეზიდენტ პუტინს [ესტუმრა კრემლში](#), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის პრორუსულ პოლიტიკურ შეხედულებებს. ევროკავშირის ქვეყნების რუსეთთან მსგავსი შესაძლო „პარტნიორობა“ რისკის ქვეშ აყენებს საქართველოს, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მუდმივ საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს.

გარდა ამისა, რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების დათბობის შემთხვევაში, საქართველოს უსაფრთხოების ინტერესები დაზარალდება. ტრამპის მხარდასაჭერად [კრემლის ჩარევა](#) ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში აჩვენებს, რომ რუსეთმა მსოფლიო პოლიტიკურ ლანდშაფტზე მისი გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისი ცვლილებები განჭრავს. საქართველო დგას ყველაზე არახელსაყრელი სცენარის განვითარების საშიშროების წინაშე, რომლის მიხედვითაც აშშ აღიარებს რუსეთის პრივილეგირებულ ინტერესებს მის „ახლო საზღვარგარეთში“. [რუსულ-ამერიკული დაახლოება](#) საქართველოსთვის ნიშნავს ნატო-საქართველოს ურთიერთობების შეფერხებას, რადგანაც აშშ-ის მხარდაჭერა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მამოძრავებელ ძალას, რაც რუსეთის მიერ პირდაპირ საშიშროებად არის აღქმული.

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივის კუთხით, ევროპა, ამერიკისგან განსხვავებით, ტრადიციულად გამოირჩევა სიფრთხილით რუსეთის შესაძლო პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად. 2008 წელს ევროპაში ნაციონალიზმის მასობრივ გავრცელებამდე და აშშ-ს მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, [საფრანგეთმა და გერმანიამ](#) ბუქარესტის სამიტზე [დაბლოკეს](#) საქართველოს ნატოში გაწევრიანება. ამ ფონზე, რუსეთსა და ევროპის იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ნატოს წამყვან წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, განსაკუთრებული ურთიერთობების ჩამოყალიბება საგანგაშოა საქართველოსთვის.

უფრო მეტიც, ნატოს ევროპელმა წევრმა სახელმწიფოებმა ცოტა ხნის წინ მიიღეს საყვედური ტრამპისგან მათ მწირ ფინანსურ კონტრიბუციაზე ორგანიზაციის ბიუჯეტში აშშ-ის მხრიდან არსებული მნიშვნელოვანი ხარჯების საპირწონედ. ამას მალევე მოჰყვა გაფრთხილება ამერიკის მხრიდან, რომ თუ ევროპა არ დაფარავდა ვალებს, მას მოუწევდა დაყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ სამხედრო ძალას. შედეგად, თუ ევროკავშირში არსებული შიდა ქაოსის ფონზე აშშ უარს იტყვის ევროპის უსაფრთხოების სისტემაში მონაწილეობაზე, საქართველო განწირული იქნება რუსეთისთვის ჩასანთქმელად.

მიუხედავად ამისა, ტრამპის ახალი მიდგომა ნატოს მიმართ შესაძლოა იყოს მხოლოდ საქმიან ურთიერთობებში ოპტიმალური ვარიანტის გამოძებნის მცდელობა, რომელიც შეიძლება დაეხმაროს კიდევ ევროპულ ინტეგრაციის პროცესს ევროპული თავდაცვის გაერთიანების შესახებ დიდი ხნის წინ მიტოვებული იდეის აღორძინებით. ევროატლანტიკური ურთიერთობების კრიზისი შეიძლება პოზიტიურად დასრულდეს ევროპის მიერ აშშ-სგან დამოუკიდებელი სამხედრო პოტენციალის შექმნით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ევროპის ნაციონალისტური პოლიტიკური ელიტის მკვეთრ მთავრობათაშორის მიდგომებს ინტეგრაციის მიმართ, ამ იდეის გარშემო ევროპის გაერთიანება ევროფილებისთვის დიდი გამოწვევა იქნება.

შვების მომგვრელი შეიძლება გახდეს ის ფაქტი, რომ ტრამპის სიტყვებს ყოველთვის შესაფერისი ქმედება არ ან ვერ მოჰყვება. ამერიკაში არის შემაკავებელი შიდა ფაქტორები, რომლებიც ტრამპს უზღუდავენ პოლიტიკურ არჩევანს. გარდა ამისა, საქართველო-ამერიკის შეხვედრა უკვე შედგა საგარეო საქმეთა მინისტრებისა და სახელმწიფო მდივნის დონეზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ურთიერთობების არსებულ ჩარჩო სიცოცხლისუნარიანია.

საშინაო პოლიტიკის კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოება მხარს უჭერს ქვეყნის ევროპულ პოლიტიკურ ტრანექტორიას, ის მაინც მგრძნობიარეა ნაციონალიზმის ზოგადი ტენდენციების მიმართ. მაგალითისთვის, [2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში](#) მემარჯვენე პოპულისტური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ მოხვდა იმ სამ პარტიას შორის, რომელთაც შეძლეს საქართველოს პარლამენტში შესვლა მაშინ, როდესაც დიდი ხნის ჩამოყალიბებულმა ლიბერალურმა პარტიებმა ხუთპროცენტის ბარიერის გადალახვაც კი ვერ მოახერხეს.

პოპულისტი „პატრიოტები“ მხარს უჭერენ ქართული კულტურის, ღირებულებების, ტრადიციისა თუ სხვა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ფასეულობების დაცვას ლიბერტარიანელებისგან. ისინიც ევროსკეპტიციზმით გამოირჩევიან, თუმცა ნაწილობრივ. ამ დროისთვის, საქართველოში ვერცერთი პოლიტიკური პარტია ვერ აძლევს თავს უფლებას აშკარად გამოხატოს ევროპის საწინააღმდეგო ან პრორუსული დამოკიდებულება. განსაკუთრებით კი ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მოპოვების ფონზე. თუმცა, თუ ევროპული ინტეგრაციის პროცესში შემდგომი გარდამტეხი ეტაპი არ დაწესდა და არ შესრულდა, ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე შეფერხებამ შესაძლოა გააღვივოს მსგავსი განწყობები.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დღესდღეობით, საქართველოს უსაფრთხოების მთავარი გარანტიები ინდივიდუალური ერი-სახელმწიფოების ხელშია, რაც გულისხმობს ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების ინტენსიურად ამოქმედების საჭიროებას. საქართველომ უნდა გააძლიეროს არსებული პარტნიორობა და, ამავედროულად, ეცადოს გააფართოვოს მეგობრების წრე. საქართველოს მხოლოდ აშშ-სა და ევროპის ძირითად სახელმწიფოებზე (ევროკავშირისა და ნატოს ფორმატის

ფარგლებში) დაყრდნობით შეუძლია უზრუნველყოს მისი ღირსეული მომავლის დაცვა რუსეთისგან.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპული ინტეგრაცია წარმოადგენს კრიზისებისა და კომპრომისების ისტორიას. ევროპული კავშირის ფენიქსივით ფერფლიდან აღდგენის უნარი სათანადოდ უნდა დაფასდეს. ევროპა არასდროს იქნება ისეთივე „ბრექსიტის“ შემდეგ, თუმცა შესაძლოა უკეთესიც გახდეს. მიმდინარე კრიზისი კარგი შესაძლებლობაა ევროკავშირისთვის, მოაგვაროს დემოკრატიული დეფიციტი, შეიძინოს დამატებითი მიმზიდველობა იმის მეშვეობით, რომ გახდეს მეტად მოქნილი და ღია გაღრმავების/გაფართოების მიმართ. შესაძლებლობის ფანჯარა საქართველოს ევროპული მისწრაფებებისთვის შესაძლოა კვლავ გაიღოს.

დაბოლოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროკავშირი განწირულია, ქართველებს ყოველთვის შეუძლიათ იპოვონ ნუგეში იმის რწმენაში, რომ დემოკრატიული რეფორმები, რომელიც მათმა ქვეყანამ გაატარა ევროინტეგრაციის გზაზე, ღირდა ძალისხმევად.

- ❖ კომენტარი ითარგმნა [ინგლისურიდან](#).
- ❖ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორ(ებ)ს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.



## საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

